ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 82

"15" მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, პირველ კვარტალში, კორპუსი №8-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №382 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" და „დ,ზ" ქვეპუნქტების, 1272 მუხლის მეორე და მესამე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და 71-ე მუხლების, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 04 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №3/4066-17) შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, პირველ კვარტალში, კორპუსი №8-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა

ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №382 განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით::

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 14419.00 კვ.მ და 13 კვ.მ უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, პირველ კვარტალში, კორპუსი №8-ის მიმდებარედ, საკადასტრო კოდები: 01.14.01.007.268 და 01.14.01.007.372) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრორაიონში, I კვარტალში, კორპუსი №8-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 007/268, საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის №37.14.807 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის №20.506.649 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების,(მდებარე: ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი 8-ის მიმდებარედ არსებული 14 419.00 კვ.მ-ისა (ს/კ: 01.14.01.007.268) და 13 კვ.მ-ის (ს/კ: 01.14.01.007.372) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ამ განკარგულებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი №8-ის მიმდებარედ, ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის №37.14.807 განკარგულების დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.“

2. შეთანხმდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრორაიონში, I კვარტალში, კორპუსი №8-ის მიმდებარედ (ნაკვ. 007/268, საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი №601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის №37.14.807 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შესაბამისი შეთანხმების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის №20.506.649 განკარგულების დანართით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი, გაუქმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601“ შორის, 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, ამავე შეთანხმების პროექტის შესაბამისად.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

შეთანხმება

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი _____ _____ 2020 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულებების საფუძველზე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ირაკლი თავართქილაძის მიერ (შემდგომში - „გამყიდველი"); და

ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის [●] და გამგეობის წევრების [●] [●] [●] [●] [●] [●] მიერ (შემდგომში წოდებული, როგორც „მყიდველი“);

(შემდგომში თითოეული ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - „მხარე“);

ვინაიდან, 2016 წლის 2 დეკემბერს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“), რომლის თანახმადაც, გამყიდველმა მყიდველს საკუთრებაში გადასცა შემდეგი უძრავი ქონება: მისამართი - ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი II, კვარტალი I, კორპუსი 8, მიმდებარედ, 16708.00 კვ.მ (ს/კ: 01.14.01.007.268) მიწის ნაკვეთი და მასზე მდგომი დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა (შემდგომში -„უძრავი ქონება“), მყიდველის მიერ შესაბამისი ამხანაგობის წევრთა მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ;

ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე N3/4066-17), ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის N37.14.807 განკარგულება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის №382 განკარგულება და მათ საფუძველზე დადებული ხელშეკრულება - 1646 კვ.მ ნაწილში, ასევე, 1646 კვ.მ-ის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №108 განკარგულება სადავო მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ, ხოლო აღნიშნულის საფუძველზე, უძრავი ქონების საჯარო

რეესტრის რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელდა ცვლილება და უძრავი ქონების გამიჯვნის შედეგად წარმოიქმნა ორი მიწის ნაკვეთი: ს/კ: 01.14.01.007.268, ფართობი - 14419.00 კვ.მ (ამ შეთანხმების გაფორმების დროისათვის არსებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხადების N882020181403, რეგისტრაციის თარიღი - 05/03/2020, მომზადების თარიღი 06/03/2020) და ს/კ: 01.14.01.007.372, ფართობი: 13 კვ.მ (ამ შეთანხმების გაფორმების დროისათვის არსებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხადების N882020240091, რეგისტრაციის თარიღი - 12/05/2020, მომზადების თარიღი 12/05/2020) (თანდართული საკადასტრო გეგმების შესაბამისად).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, დადონ წინამდებარე შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (შემდგომში - „შეთანხმება“):

1.1. შეიცვალოს ხელშეკრულების 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„1.1. გამყიდველი ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებას: მისამართი - ქ. თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი II, კვარტალი I, კორპუსი 8, მიმდებარედ, 14419.00 კვ.მ (ს/კ: 01.14.01.007.268) და 13 კვ.მ (ს/კ: 01.14.01.007.372) მიწის ნაკვეთები (შემდგომში -„უძრავი ქონება“), ხოლო მყიდველი სანაცვლოდ სრულად ამბობს უარს ამხანაგობის წევრთა მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე;“

1.2. ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნას 3.1.2 მუხლი.

1.3. ხელშეკრულების სხვა პირობები და პუნქტები, რომელიც არ იცვლება წინამდებარე შეთანხმებით, რჩება უცვლელი.

1.4. მყიდველი აცხადებს და ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების დადების მომენტისათვის მისთვის სრულად არის ცნობილი უძრავი ქონების უფლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა და ამასთან დაკავშირებით გამყიდველის წინაშე არ აქვს და მომავალში არ წარმოეშობა რაიმე პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება.

1.5. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

1.6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება და განიმარტება მხოლოდ ხელშეკრულებასთან ერთად.

1.7. წინამდებარე შეთანხმებისა და ხელშეკრულების პუნქტებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმებას.

1.8. წინამდებარე შეთანხმება დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მხარეთა შორის ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

1.9. წინამდებარე შეთანხმება დადებულია 4 თანამარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და დამოწმებულია ნოტარიული წესით. შეთანხმების ერთი ეგზემპლარი რჩება

ნოტარიუსთან, ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს, თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

ხელმოწერები:

გამყიდველი

_____

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი

მყიდველი

_____

_____

_____

_____

_____

_____

ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატოს“ თავმჯდომარე და გამგეობის წევრები